

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

გოეთესა და ჰესეს რომანთა კომპოზიციურ-სტრუქტურულ
თავისებურებათა შესახებ
(„ვილჰელმ მაისტერი“, „თამაში რიოში მარგალიტებით“)

თამარ ნაფეტვარიძე

tnapetvaridze@yahoo.de

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

წინამდებარე ნაშრომში წარმოვაჩინთ გოეთესა და ჰესეს რომანების სტრუქტურათა სპეციფიკას, რაც განპირობებულია ნაწარმოებთა შექმნის განსხვავებული ისტორიული დროითა და ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებით. მივუთითებთ, რომ მიუხედავად სხვაობისა ორივე რომანში ძირითადად პიროვნების ფორმირების პრობლემა დგას, რაც ავტორთა მაღალ, ჰუმანისტურ იდეებთანაა დაკავშირებული.

საკვანძო სიტყვები: გოეთე, ჰესე, რომანი, კომპოზიცია, სტრუქტურა.

გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ („Wilhelm Meisters Lehrjahre“) 1796 წელს გამოქვეყნდა. რომანის მეორე ნაწილი – „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ (Wilhelm Meisters Wanderjahre) – 1829 წელს. „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლების“ წინამორბედის – „ვილჰელმ მაისტერის თეატრალური მოწოდება“ („Wilhelm Meisters Theatralische Sendung“) - მეექვსე წიგნი დასრულდა 1785 წლის ნოემბერში. იგი წარმოადგენდა რომანის პირველი ნაწილის – „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლების“ ფრაგმენტს.

ჰესეს „თამაში რიოში მარგალიტებით“, რომელზეც ავტორი ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა (1931-1942), გამოქვეყნდა 1943 წელს. როგორც „ვილჰელმ მაისტერის“ რომანები, ასევე ჰესეს „თამაში რიოში მარგალიტებით“, მრავალრიცხოვან მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს, რაზეც ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა მიუთითებს.

ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ არსებითი განსხვავება ტრადიციულ „აღზრდის“ რომანსა და XX საუკუნეში შექმნილ რომანებს შორის იკვეთება მხატვრული თხზვის მეთოდებსა და პოეტოლოგიური პრინციპების სხვაობაში, რაც თვალსაჩინო ხდება რომანთა სტრუქტურულ თავისებუ-

თ. ნაფეტვარიძე

რებებში, თხრობის მანერაში, ნაწარმოებთა კომპოზიციაში, გმირთა სახეების შექმნაში და ა.შ. საინტერესოა, რა თავისებურებებს ავლენს ამ მხრივ გოეთესა და ჰესეს ნაწარმოებები.

გოეთეს რომანის აქტუალობის გამო „ვილჰელმ მაისტერის“ კომპოზიციურ-სტრუქტურულ თავისებურებებსა და თხრობის სპეციფიკაზე მრავალი მკვლევრის სამეცნიერო ნაშრომი არსებობს. ჰესეს რომანის კომპოზიციურ-სტრუქტურულ თავისებურებებსაც ასევე არაერთი მეცნიერის სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არ არსებობს ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც გოეთესა და ჰესეს ნაწარმოებთა („ვილჰელმ მაისტერი“ და „თამაში რიოში მარგალიტებით“) შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე იქნებოდა წარმოდგენილი და გაანალიზებული ზემოაღნიშნული საკითხი.

„ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ კლასიკური აღზრდის რომანია, სადაც ცენტრალური პრობლემა პიროვნების ფორმირების საკითხია. ის იქმნებოდა ფრანგული რევოლუციის პერიოდში და არ არის უბრალოდ გაგრძელება ფრაგმენტისა – „ვილჰელმ მაისტერის თეატრალური მოწოდება“. იგი ფუნდამენტურად გადამუშავებული ნაწარმოებია.

როგორია გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის“ სტრუქტურა?

გოეთეს რომანის პირველი ნაწილი „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ შედგება 8 წიგნისაგან (Buch), რომელთაგან თითოეული რამდენიმე თავს (Kapitel) შეიცავს. „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ კი 3 წიგნისაგან შედგება, რომლებიც ასევე რამდენიმე ნაწილად იყოფა. ამას გარდა, „მოგზაურობის წლებში“ მეორე და მესამე თავს შორის ჩართულია „Betrachtungen im Sinne der Wanderer“, დღიურები, ხოლო ნაწარმოები სრულდება საარქივო მასალებით „Aus Makariens Archiv“.

გოეთეს ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული გადაწყვეტილება მის რომანთან დაკავშირებით იყო ყოვლისმცოდნე პირველი პირის მთხრობელზე უარის თქმა (Ich-Erzähler), რაზეც პირველივე წინადადებებიც მოწმობს. „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ იწყება შემდეგნაირად: „Das Schauspiel dauerte sehr lange. Die alte Barbara trat einigemal ans Fenster und horchte, ob die Kutschen nicht rasseln wollten“ [Goethe 1988: 9]. შეგვიძლია დავიმოწმოთ რომანის მეორე ნაწილის დასაწყისიც: „Im Schatten eines mächtigen Felsen saß Wilhelm an grauser, bedeutender Stelle, wo sich der steile Gebirgsweg um eine Ecke herum schnell der Tiefe wendet“ (Goethe 1991: 17).

„ვილჰელმ მაისტერის მოსწავლეობის წლების“ სტრუქტურულად შეკრული ხასიათის მიუხედავად, რომანი თემატურად დაყოფილია, პირველ

ხუთ წიგნში თეატრისა და ხელოვნების სამყაროა წარმოდგენილი, ბოლო წიგნებში იდეოლოგიური და სოციალური საკითხებია დომინანტური ხასიათისა.

გოეთეს რომანის პირველი ნაწილის „კლასიკური სტილის“ არსებით ელემენტებზე მიუთითებს მკვლევარი უვე შტაინერი. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გოეთე ნაწარმოების ამ ნაწილში ნაწილში („ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“) მიზნად ისახავდა რომანის სტრუქტურულ მთლიანობას. ამავდროულად, მეცნიერის აზრით, რომანის ამ ნაწილის სტრუქტურულ თავისებურებებს გარკვეულწილად „ირონიული კომპოზიციაც“ აქვს, რაც, ჩვენი აზრით, პოლემიკურ მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს. მკვლევარი აღნიშნავს: „Man hat in der ausgewogenen, massvollen, auf Einheitlichkeit und Harmonie bedachten Sprache der *Lehrjahre*, im symbolischen Verweisungscharakter und in der strengen Verknüpfung der Motive, mit deren Hilfe die „realistisch“ erzählte Handlung überformt und distanziert wird, wesentliche Elemente eines „klassischen Stils“ aufgewiesen, dem sich der Roman, ungeachtet seiner gattungsmäßigen Unzugehörigkeit zum antiken Formenkanon, annähert. Andererseits erinnert die Beschreibung der strukturellen Besonderheiten der „Lehrjahre“ im Begriff der „ironischer Komposition“, mit grösserem Nachdruck jenes Moments, das gerade diesen Roman nicht nur in den Augen seiner frühromantischen Leser als ein modernes Kunstwerk erscheinen lässt“ (Steiner 2007:122).

შესაძლოა, უვე შტაინერს მხედველობაში აქვს გერმანულ რომანტიკოსთა პოზიტიური მოსაზრებები გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლებთან“ დაკავშირებით (ნოვალისის გამოკლებით, რომლის კრიტიკა გოეთეს რომანის ფინალს ეხებოდა), თუმცა კომპოზიციის თვალსაზრისით გოეთეს რომანის პირველი ნაწილი ბევრად მწყობრი ფორმის მქონეა, ვიდრე „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“. ამიტომ არარელევანტურად მივიჩნევთ მეცნიერის ამ პოზიციას.

„ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ სათაურშივე წარმოაჩენს „უარმყოფელებს“ (Die Entsagenden). გოეთე აქ უკვე გმირს წარმოგვიდგენს ფხიზელ, რეალისტ ადამიანად, რომელიც უპირატესობას პრაქტიკულ მოღვაწეობას აძლევს. პრაქტიკულობა, კონკრეტული დარგის შესწავლა არის ის, რომლის მიღწევასაც ცდილობს „მოგზაურობის წლებში“ პროტაგონისტი: სასცენო ხელოვნებას იგი ქირურგიით ანაცვლებს.

„ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ ავტორის თანამედროვეთათვის გამოირჩეოდა რთული, განსხვავებული სტრუქტურული სტი-

თ. ნაფეტვარიძე

ლით და რომანში ჩასმული ელემენტებით. რომანის მეორე ნაწილის ნარატიული სტრუქტურა სავსეა დამაბულობით, იგი შედგება ერთი შეხედვით განცალკევებული ისტორიებისაგან, ჩანაწერებისა და წერილებისაგან, გამონათქვამებისა და რედაქტორის კომენტარებისაგან. მიუხედავად, ერთი შეხედვით ყველა ამ „შეუსაბამობისა“, რომანის მეორე ნაწილს აქვს ერთიანი სტრუქტურა, ვინაიდან ყველა ნაწილი ოსტატურად არის დაკავშირებული ძირითად მოქმედებასთან, რაც „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლების“ მთლიანობას ქმნის.

სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია ქრისტიან მითერმიულერის მოსაზრება, რომ „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებში“ საარქივო ფიქცია განაპირობებს ნარატიული ინსტანციების პლურალიზაციას და ამავდროულად განსაზღვრავს თხრობის ტრადიციული პრინციპებიდან გადახვევას, რის შედეგადაც იქმნება ახალი ტიპის ნარატიული წესრიგი, რომელსაც ახასიათებს წყვეტები, ხარვეზები (Mittermüller 2004: 64).

1829 წლის საბოლოო ვერსიის სათაურიდან გოეთემ წაშალა ტერმინი „ein Roman“, რომელიც 1821 წლის პირველი ვერსიის ახლდა. ფაქტობრივად, „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებმა“ აშკარად დაარღვია დამკვიდრებული, მიზანმიმართული ნარატიული კონტექსტის მქონე რომანის ფორმა. გოეთეს რომანს არა მხოლოდ თემატურად, არამედ სტრუქტურულადაც განსაზღვრავს მოგზაურობის თემა, რადგან ის აკავშირებს რომანის სხვადასხვა ნაწილების პასაჟებს ერთმანეთთან.

„ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლების“ ყოვლისმცოდნე ავტორს „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებში“ ფიქტიური „რედაქტორი“ ცვლის. მეთვრამეტე საუკუნის რომანებში პოპულარული იყო ასეთი ტიპის რედაქტორი, რომელიც ამტკიცებდა გამოგონილი ამბის ჭეშმარიტებას. თუმცა, გოეთე იყენებს მას ჩვეული ფუნქციის სრულიად საპირისპიროდ, იმ მიზნით, რომ გამომცემელმა საარქივო მასალა „რომანად“ გადაამუშაოს.

ნაწარმოების ცალკეული ელემენტები რომანის მეორე ნაწილის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს. „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლების“ ყველა ნაწილი ორგანულად დაკავშირებულია მთავარ თემასთან - ეს მისი სტრუქტურის ძირითადი მახასიათებელია. გოეთემ ნაწარმოების ამ ნაწილში ჩასვა ისეთი აზრები და აფორიზმები, რომელიც ემსახურებოდა რომანის ძირითად იდეას, მაგრამ ამავე დროს ამ კომენტარებს ჰქონდა დამოუკიდებელი მნიშვნელობა. თხრობის ეს ტექნიკა, რომელიც გოეთემ ძალიან ოსტატურად გამოიყენა, ამართლებს რომანის მეორე ნაწილის სიუჟეტის დაუმთავრებლობას, მკითხველს კი უჩნდება შესაძლებლობა, თა-

ვად წარმოიდგინოს რომანის გაგრძელება. ავტორი, როგორც ბრძენი რეჟისორი, წარმართავს მათ ქმედებებს, მაგრამ არა მათ ბედს. გოეთეს ამ ზომიერებამ მისცა მის რომანს უნივერსალური, მსოფლიო დონის ქმნილების წოდება (De Boor Helmut und Newald Richard 1983: 305).

როგორც ვხედავთ, „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ საერთო ჯამში აგრძელებს რომანის კლასიკურ ხაზს, თუმცა პოეტოლოგიური თვალსაზრისით მას შეიძლება ვუწოდოთ პოეტური ექსპერიმენტიც. ეს კი უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმით, რომ ეპოქა, რომელშიც იქმნებოდა რომანის მეორე ნაწილი, 30 წელზე მეტი ხნით შორდება „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლების“ შექმნის ხანას, განსხვავებულია ისტორიული რეალობა და ესთეტიკური პრინციპებიც.

საინტერესოდ მიგვაჩნია ჰერმან ჰესეს მოსაზრების ციტირება გოეთეს რომანთან მიმართებაში, სადაც ის მიუთითებს, რომ ნაწარმოები, როგორც არაჩვეულებრივი მემკვიდრე მდიდარი ტრადიციისა და კულტურისა, თავადაც გახდა მაგალითი მთელი შემდგომი პერიოდის მწერლობისათვის, სადაც სამყარო წარმოდგენილი იყო პოეტური ნაირსახეობების მიკროკოსმში: „Wie Goethes Roman der Erbe und glückliche Nachfolger einer reichen, guten Tradition und Kultur gewesen ist, so wurde er, mehr als irgendein anderer deutscher Roman, zum Vorbild, Erwecker und Anreger für eine ganze nachfolgende Literatur[...] Alle Dichtungsarten schienen hier zusammenspielen und einen wunderschönen Mikrokosmos erbaut zu haben, ein ideales Spiegelbild der Welt“ (Hesse 1975: 87).

რაც შეეხება ჰერმან ჰესესა, და ზოგადად, XX საუკუნის რომანს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მან პრინციპულად ახალი გამომსახველობითი საშუალებანი დანერგა (კაკაბაძე 1988: 88). მკვლევარი მარია ანდრეოტი აღნიშნავს, რომ ტრადიციულ ფორმებს ამ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ იმ მწერლებთან ვხვდებით, რომლებიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის რომანის ტრადიციის ერთგულნი იყვნენ (მაგალითად, თომას მანი და ჰერმან ჰესე) (Andreotti 1990: 218).

1932 წლის დასაწყისში ჰესემ ჩაიფიქრა რომანი *Glasperlenspiel*, როგორც მისი დიდი მოთხრობის - *Morgenlandfahrt*-ის კონცეპტუალური გაგრძელება (Solbach 2012: 239).

1945 წლის 8 აპრილს თომას მანის მიერ ჰერმან ჰესესადმი მიწერილ წერილში რომანის შესახებ ვკითხულობთ: „ეს სიბრძნით მდიდარი, მონუმენტური რომანი საოცარი საჩუქარია როგორც ჩემთვის, ისე მთელი სუ-

თ. ნაფეტვარიძე

ლიერი სამყაროსათვის [...] მართალია, ნაწარმოები რომანტიკულად ჩახლართული და არაბესკებით სავსეა, მაგრამ სრულიად შეკრული, ერთიანი და დასრულებული შედეგია“ (მანი, ჰესე 2016: 161).

თავად ჰესეს რომანის მთელი კონსტრუქცია და პოეტური ქსოვილი გამსჭვალულია ორპლანიანობის იდეით. „თამაში რიოში მარგალიტებით. თამაშის მაგისტრის ცხოვრების აღწერა იოზეფ კნეხტის დანატოვარ ჩანაწერებთან ერთად“ („Das Glasperlenspiel. Versuch einer Lebensbeschreibung des Magister Ludi Josef Knecht samt Knechts hinterlassenen Schriften“) შედგება რამდენიმე ნაწილისგან და თითოეული ამ ნაწილთაგანი თხზულების ერთ-ერთ კონტრასტულ თემას წარმოადგენს. თხრობის დაწყებისთანავე ვხვდებით მოსაზრებას: „რაც უფრო შეურიგებლად ვიცავთ ხოლმე ამ თუ იმ თეზისს, მით უფრო დაჟინებით მოუხმობს იგი თავის ანტითეზისს.“ (ჰესე 2021:12). რ. ყარალიშვილის აზრით, ორპლანიანობა მთელი პოეტური მასალის დამუშავებაში ვლინდება: ბინარულ წყობაში, მთლიანად ნაწარმოებისა და ცალკეული სცენების კომპოზიციაში, თხრობითი ფორმების მონაცვლეობაში, ვიდრე იგი „ინდური ბიოგრაფიის“ უკანასკნელ წინადადებაში არ გაისმის კიდევ ერთხელ და რეალურ მკითხველს ისევ რომანის დასაწყისთან არ დააბრუნებს (ყარალაშვილი 1980: 193).

ჰესეს რომანის ტექსტის კორპუსი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. თამაში რიოში მარგალიტებით (თამაშის ისტორიის ზოგადი აღწერის მცდელობა) (Das Glasperlenspiel- Versuch einer allgemeinverständlichen Einführung in seine Geschichte). 2. თამაშის მაგისტრის იოზეფ კნეხტის ცხოვრების აღწერა (Lebensbeschreibung des Magister Ludi Josef Knecht). 3. იოზეფ კნეხტის დანატოვარი ჩანაწერები (Josef Knechts hinterlassene Schriften).

შესავალ ნაწილში მოცემულია რიოში მარგალიტებით თამაშის იდეა, ისტორია, მიზანი და სტრუქტურა. მეორე ნაწილი ბიოგრაფიულია, რომელშიც გმირის შინაგანი და გარეგანი ცხოვრებაა აღწერილი და აქვეა მოცემული გმირის სიკვდილის ფაქტიც. მესამე კი - იოზეფ კნეხტის მიერ დატოვებული ჩანაწერებია, რომელიც თავის მხრივ შედგება მოსწავლეობისა და სტუდენტობის წლებში დაწერილი ცამეტი ლექსისაგან, ასევე სამი ბიოგრაფიისგან: Der Regenmacher (წვიმის მომლოცველი), der Beichvater (სულიერი მამა) და Indischer Lebenslauf (ინდური ცხოვრების აღწერა).

კომპოზიციური თვალსაზრისით ყურადღებამისაქცევია ასევე ჰესეს რომანის ეპიგრაფი. ნაწარმოების ძირითად თემად წარმოდგენილია პროტაგონისტის სულიერი სამყაროდან - კასტალიიდან, ჩვეულებრივი ცხოვრებისკენ სვლა, რომელიც გმირის აღსასრულით მთავრდება.

პირველ თავში - სახელწოდებით *die Berufung* („მოწოდება“), კასტალიის ახალგაზრდა მოსწავლე, იოზეფ კნეხტი სიზმარს ნახულობს, რომელსაც კონსტრუქციული თვალსაზრისით რომანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ინტერპრეტაციითა და ახსნით თავიდანვე ხდება მინიშნება იმაზე, რომ ის მთელი რომანის სამოქმედო სტრუქტურასა და ტექსტის აგების პრინციპს უყრის თავს: „Im Traum kam er wieder auf jene Hügelkuppe über den Wäldern, wo er gestern mit seinem Kameraden gerastet hatte, und sah unter sich das liebe Eschholz liegen, und während er hinab schaute, zog das Rechteck der Scgulgebäude sich zu einem Oval und dann zum Kreis auseinander, einem Kranz, und der Kranz begann sich langsam zu drehen, drehte sich mit zunehmender Geschwindigkeit, drehte sich zuletzt rasend schnell und barst und flog in funkelnden Sternen auseinander“ (Hesse 2020: 113).

მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ნაწარმოების ფინალს, როგორც სტრუქტურულ ელემენტს: კრავს თუ არა კნეხტის სიკვდილი რომანს, წყდება თუ არა ამით გმირის განვითარება?!

„თამაში რიოში მარგალიტებით“ არის ცდა, სამყაროს მუდმივი ცვალებადობის ჯაჭვში, სადაც სიცოცხლე სიკვდილით, ხოლო სიკვდილი ახალი სიცოცხლით იცვლება, გამოიკვეთოს ის, რაც ამ პროცესს ღირებულს ხდის. ნაწარმოების მთავარი გმირის სოცოცხლეცა და სიკვდილიც ამ ამალეულ იდეას ემსახურება.

ჰესეს რომანის „თამაში რიოში მარგალიტებით“ მესამე ნაწილი – „კნეხტის დანატოვარი ჩანაწერები“ (ლექსები) და „სამი ცხოვრების აღწერა“ – რომანის ძირითადი ნაწილისგან განცალკევებულად დგას, თუმცა კომპოზიციური თვალსაზრისით ის ნაწარმოების მთლიანობაში სხვა ნაწილებთან ორგანულად დაკავშირებული, ჩასმული ნაწილებია. ისინი ტექსტის შინაარსის გახსნას და ბოლომდე ჩაწვდომას ემსახურებიან.

ვეთანხმებით მკვლევარ გეზა ჰორვატის მოსაზრებას, როცა ის ყურადღებას უთმობს ნაწარმოების ტექსტის სტრუქტურაში „სამი ცხოვრების აღწერას“ (drei Lebensläufe), რომელშიც ნაწარმოების ძირითადი იდეა დევს: „Der Anfang und das Ende der drei Lebensläufe ist offen, genauso wie es im ganzen Roman und in den meisten Werken von Hesse der Fall ist. Diese Texte sind Entelechien, beliebige Masken, Gestaltungen desselben Wesenskernes. Das Wesen, der Stoff, ist auch in diesem Sinne ständig, während sich die Form in beliebigzahlreichen Variationen verwirklichen kann. In allen Lebensläufen wird jenes „Realisieren“ unternommen, das den Weg vom Werden zum Sein, vom

თ. ნაფეტვარიძე

Möglichen zum Wirklichen sucht“ (Horváth 2004: 158).

გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის“ რომანებისა და ჰესეს „თამაში რიოში მარგალიტებით“ კომპოზიციურ თავისებურებათა ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

„ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ ბევრ ასპექტში მიჰყვება ტრადიციული რომანის ხაზს. მეორე ნაწილი - „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ კი განსხვავებული სტრუქტურითაა წარმოდგენილი. ეს კი განპირობებულია რომანის პირველსა და მეორე ნაწილის შექმნას შორის არსებული დიდი შუალედით, რასაც თან ერთვის ახალი ეპოქის ისტორიული და ესთეტიკური სიახლე. მასში ხშირია ჩართული ელემენტები. მიუხედავად ამისა, მთელს რომანს შეკრული ფორმა აქვს.

რაც შეეხება ჰესეს რომანს, მისი ფორმაცა და შინაარსიც ძველი ჩინური აზროვნების ძლიერ გავლენას განიცდის, ამიტომაც რომანის მთლიანი კორპუსი და პოეტური ქსოვილი გამსჭვალულია ორპლანიანობის იდეით. ფინალი კი, როგორც სტრუქტურული ერთეული, მთელი ნაწარმოების გასაღებია. ნაწარმოები ყოველმხრივ აღიქმება როგორც სრულად შეკრული და მთლიანი.

ანალიზის შედეგად უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრუქტურულ-კომპოზიციური თვალსაზრისით თავად გოეთეს რომანის პირველი და მეორე ნაწილები განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველი ნაწილი - „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ - იქმნებოდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, ხოლო - „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ - რამდენიმე ათწლეულის შემდეგ. ცხადია, რომ გოეთეს რომანების ამ ცალკეულ ნაწილებზე ზეგავლენას ახდენს აღნიშნული ეპოქების ესთეტიკური მიმართულებები (განმანათლებლობა, რომანტიზმი). რაც შეეხება გოეთესა და ჰესეს რომანთა კომპოზიციურ-სტრუქტურული თვალსაზრისით შეპირისპირებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებში“ არსებული ფიქტიური მთხრობელი და ჩართული ელემენტები ჰესეს რომანთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს.

სრულიად განსხვავებულია სტრუქტურის თვალსაზრისით „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ და „თამაში რიოში მარგალიტებით“. სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს იქედან, რომ ისინი განსხვავებულ ეპოქებში იქმნებოდა, განსხვავებულია ის ესთეტიკური საფუძვლები, რომლებიც ნაწარმოებების მხატვრულ სპეციფიკას განაპირობებს.

საერთო ჯამში, ჰესეს რომანის მიმართება გოეთეს რომანთან მსგავსე-

ბას ავლენს ძირითად იდეაში: ესაა პიროვნების ფორმირების, აღზრდისა და განვითარების თემა, რაც ორივე ავტორთან მაღალ, ჰუმანისტურ იდეებთანაა დაკავშირებული.

ლიტერატურა

- კაკაბაძე, ნ. 1988. “თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურის განვითარების ტენდენციები”. წიგნში: *დასავლეთ ევროპის ლიტერატურა. (XX საუკუნე). ლიტერატურის ისტორია. პოეტიკა. ურთიერთობანი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მანი, თ., ჰესე, ჰ. 2016. *პირადი მიმოწერა. გერმანულიდან თარგმნეს ეკატერინე რაისნერმა და ნატალია ნადირაშვილმა. რედაქტორები ნატო გორდელაძე, ნინო დეკანოიძე, ლია ჯავახიშვილი.* თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
- ყარალაშვილი, რ. 1980. *ჰერმან ჰესეს შემოქმედების პრობლემები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჰესე, ჰ. 2021. *თამაში რიოში მარგალიტებით.* თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- Andreotti, M. 1990. *Die Struktur der modernen Literatur. 3. Auflage.* Bern, Stuttgart, Wien: Verlag Paul Haupt.
- Borchmeyer, D. 1999. *Goethe der Zeitbürger.* München: Carl Hanser Verlag.
- Conrady, K.O. 1999. *Goethe, Leben und Werk.* Düsseldorf und Zürich: Artemis und Winkler Verlag.
- De Boor, H., Newald R. 1983. *Geschichte der deutschen Literatur. Siebenter band/ Teil eins, von Schulz, Gerhard: das Zeitalter der französischen Revolution 1789-1806.* München: Beck Verlag.
- Goethe, J.W. 1988. „Wilhelm Meisters Lehrjahre“. Ein Roman. In : *Sämtliche Werke nach Epochen seines Schaffens.* Band 5. München: Hrsg von Hans-Jürgen Schings. Carl Hanser Verlag.
- Goethe, J.W. 1991. *Wilhelm Meisters Wanderjahre. Maximen und Reflexionen.* Sämtliche Werke nach Epochen seines Schaffens. Münchner Ausgabe. Band 17. München: Hrsg von Conthier-Louis Fink. Gerhart Baumann und Johannes John Carl Hanser Verlag.
- Hesse, H. 1975. *Dank an Goethe, Betrachtungen, Rezensionen, Briefe /Mit einem Essay von Reso Karalashvili.* Neu zusammengestellt von Volker Michaels. Frankfurt am Main: Insel Verlag.

၈. နာထုတ္တိဗာဝိဂ္ဂ

- Hesse, H. 2020. *Das Glasperlenspiel. Mit einem Anhang zur Aktualität von Hesses Alterswerk*. Suhrkamp.
- Horvát, G. 2021. „Joseph Knechts Traum“. In: Márta Gaál-Baróti und Péter Bassola (Hrsg) unter Mitwirkung Erzsébet Szabó und Tamas Kispál, „Millionen Welten“ Festschrift für Arpad Bernath zum 60. Geburtstag. Szeged, Osiris: Grimm Verlag.
- Horváth, G. 2004. „Die Drei Lebensläufe und ihr Verhältnis zur Biographie des Magister Ludi, Joseph Knecht“. In: Hermann-Hesse-Jahrbuch, Band 1, Herausgegeben von Mauro Ponzi im Auftrag der Internationalen Hermann-Hesse-Gesellschaft. Tübingen: Max Niemeyer Verlag.
- Mittermüller, Ch. 2004. „Das schreibt sich und verschiebt sich“- poetologische Reflexionen in Goethes Romanen „Die Wahlverwandschaften“ und „Wilhelm Meisters Lehrjahre“. In: Goethe-Jahrbuch. Im Auftrag des Vorstands der Goethe-Gesellschaft. Hrsg. von Werner Frick, Jochen Golz und Edith Zehm. 121. Band der Gesamtfolge. Weimar: Verlag Hermann Böhlaus Nachfolger.
- Solbach, A. 2012. „Hermann Hesse. Die Poetologische Dimension seines Erzählens“. Hrsg von Fuchs-Jolie Stephan. Glauch Sonja, Spies Bernhard, Strörmer-Casya Uta, Band zwei, . Heidelberg: Universitätsverlag Winter.
- Steiner, U. 2004. *Wilhelm Meisters Lehrjahre*. In: Goethe Handbuch in vier Bänden. Herausgegeben von Bernd Witte, Theo Buck, Hans Dietrich Dahnke, Regine Otto, Peter Schmidt. Prosaschriften. Stuttgart. Weimar: Band 3. Metzler Verlag.
- Vogt, J. 1998. „Aspekte erzählender Prosa. Eine Einführung in Erzähltechnik und Romantheorie“. Opladen/Wiesbaden: Literaturwissenschaft. Westdeutscher Verlag.

Literature and Literary Theory

About the Compositional-Structural Features of Goethe's and Hesse's Novels („Wilhelm Meister“, „The glass bead game“)

Tamar Napetvaridze

tnapetvaridze@yahoo.de

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

In this article, we will present the specifics of the structures of the novels of Goethe and Hesse writers, with the different historical time of the creation of works and the artistic-aesthetic principles of the era. We would like to point out that, despite the differences, both novels mainly deal with the problem of personality formation, which is related to the high, humanistic ideas of the authors.

Keywords: Goethe, Hesse, novel, structure, composition.

Goethe's „Wilhelm Meister's Apprenticeship“ was published in 1796. The second part of the novel – „Wilhelm Meister's Journeyman Years“ - in 1829.

Hesse's „The glass bead game“, on which the author worked for more than a decade (1931-1942), was published in 1943. It is interesting to see what features the works of Goethe and Hesse show from a compositional-structural point of view.

„Wilhelm Meister's Apprenticeship“ is a classic parenting novel, where the central problem is the question of personality formation.

What is the structure of „Wilhelm Meister“?

The first part of Goethe's novel „Wilhelm Meister's Apprenticeship“ consists of 8 books (Buch), each of which contains several chapters. „Wilhelm Meister's Journeyman Years“ consists of 3 books, which are also divided into several parts. In addition, between the second and third chapters of „Years of Travel“ diaries are included, and the work is completed with archival materials.

Despite the structurally cohesive character of „Wilhelm Meister's Journeyman Years“, the novel is divided thematically, the world of theater and art is presented in the first five books, ideological and social issues are dominant in the last books.

In „Wilhelm Meister's Journeyman Years“ Goethe presents the hero as a sober, realistic person who prefers practical work. Practicality, the study of a

specific field is what the protagonist of „Traveling Years“ is trying to achieve: he replaces performing arts with surgery.

„Wilhelm Meister’s Journeyman Years“ was distinguished for the author’s contemporaries by a complex, different structural style and inserted elements. The narrative structure of the second part of the novel is full of tension, consisting of seemingly separate stories, notes and letters, speeches and editor’s comments. Despite, all these „inconsistencies“, the second part of the novel has a unified structure, since all parts are skillfully connected to the main action, which forms the whole of „Wilhelm Meister’s Journeyman Years“.

The omniscient author of „Wilhelm Meister’s Apprenticeship“ is replaced by a fictitious „editor“ of „Wilhelm Meister’s Journeyman Years“. This type of editor was popular in eighteenth-century novels, asserting the truth of a fictional story. However, Goethe uses it in the exactly opposite way of its usual function, in order for the publisher to rework the archival material into a „novel“.

Goethe’s novel as a whole continues the classic line of the enlightening „novel of upbringing“ , although from the poetic point of view „Wilhelm Meister’s Journeyman Years“ can also be called a poetic experiment. This is primarily due to the fact that the era in which the second part of the novel was created is more than 30 years away from the era of creation of „Wilhelm Meister’s Apprenticeship“, the historical reality and aesthetic principles are also different.

As for the 20th century novel, it fundamentally introduced new means of expression. We find traditional forms only with those writers who were still loyal to the 19th century novel tradition (for example, Thomas Mann and Hermann Hesse).

The entire structure and poetic fabric of Hesse’s novel „The glass bead game“ is imbued with the idea of duality. The work consists of three parts: 1. The glass bead game (an attempt to describe the history of the game in general). 2. Description of the life of the game master Joseph Knecht. 3. Notes left by Joseph Knecht. The introduction provides the idea, history, purpose and structure of „The glass bead game“. The second part is biographical, in which the internal and external life of the hero is described, and the fact of the death of the hero is also given here. The third is the notes left by Josef Knecht, which in turn consists of thirteen poems written during his school years and student years, as well as three biographies: *Der Regenmacher* (The Rain Pilgrim), *der Beichvater* (Spiritual Father) and *Indischer Lebenslauf* (Description of Indian Life).

From the compositional point of view, the novel’s epigraph is also worth paying attention to. The main theme of the work is the protagonist’s journey

from this spiritual world-Castalia to ordinary life, which ends with the end of the hero.

The third part of the novel „The glass bead game“ - Knecht's poems and three biographies - stands separately from the main part of the novel, although from the point of view of the composition, it is organically connected with other parts of the work. They serve to open the content of the text and get to the end.

As a result of the analysis of the compositional features of Goethe's „Wilhelm Meister“ novels and Hesse's „The glass bead game“, we can conclude that „Wilhelm Meister's Apprenticeship“ structurally follows the lines of the traditional enlightening „novel of education“ in many aspects. The second part – „Wilhelm Meister's Journeyman Years“ is presented with a different structure. This is due to the large gap between the creation of the first and second parts of the novel, which is manifested in the historical and aesthetic difference. It often contains elements. Nevertheless, the whole novel has a cohesive form.

As for Hesse's novel, even its form and content are strongly influenced by ancient Chinese thought, the entire corpus and poetic fabric of the novel is imbued with the idea of duality. And the finale, as a structural unit, is the key to the whole work. The work is perceived in every way as fully connected and whole.

As a result of the analysis, we should note that Goethe's novels themselves differ from each other from a structural-compositional point of view. The first part – „Wilhelm Meister's Apprenticeship“- was created during the French bourgeois revolution, and – „Wilhelm Meister's Journeyman Years“ - several decades later. It is clear that these individual parts of Goethe's novels are influenced by the aesthetic directions of the mentioned eras (enlightenment, romanticism). Regarding the compositional-structural comparison of Goethe's and Hesse's novels, we can conclude that the fictitious narrator and included elements in Goethe's „Wilhelm Meister's Journeyman Years“ show certain similarities with Hesse's novel.

„Wilhelm Meister's Apprenticeship“ and „The glass bead game“ are completely different in terms of structure. The difference, first of all, stems from the fact that they were created in different eras, the aesthetic foundations that determine the artistic specificity of the works are different.

In general, the relationship between Hesse's novel and Goethe's novel shows similarity in the main idea: it is the theme of personality formation, education and development, which is related to high, humanistic ideas of both authors.